საექსპერტო დასკვნა

III კლასს დაქვემდებარებული, სასტუმროს შენობის პროექტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ბოლო აღმართის ქუჩა №8, (ს/კოდი № 01.15.05.088.001).
პროექტის შემსრულებელი საპროექტო ორგანიზაცია **შპს "არქიკოლეგიუმი"**.
პროექტის მთავარი არქიტექტორი – თ. მურვანიძე.
პროექტის ავტორი – მ. ლობჟანიძე.
ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების, **102.3 ქვეთავის** მიხედვით, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება.
წარმოდგენილ დასკვნაში გამოყენებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი (СП) ნორმები, რომლითაც ხელმძღვანელობს საქართველოს საგანგებო სიტუაციების

მართვის სამსახური.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

პროექტის მიზანს წარმოადგენს სასტუმროს შენობის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართი არის 450 კვ.მ. და მდებარეობს ქ. თბილისში, ბოლო აღმართის ქუჩა №8-ში. ტერიტორია არის თბილისის ისტორიულ ზონაში და მოქცეულია საცხოვრებელი ზონა 3-ის არეალში. ტერიტორიას სამი მხრიდან ესაზღვრება კერძო მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მოასფალტებული გზა. საპროექტო ტერიტორია მარტივი რელიეფისაა და ყველაზე დიდი სხვაობა ნიშნულებს შორის შეადგენს 1.8 მ-ს.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

შენობას აქვს ერთი მიწისქვეშა სართული (-3.20), სადაც განლაგდება საწყობი, წყლის ტუმბოს სადგური-რეზერვუარი, სამზარეულო, სერვერი და პერსონალის ოთახი. მიწისპირა (0.00 ნიშნული) სართული განკუთვნილია ვესტიბიულისთვის და მცირე ზომის სასადილო-რესტორნისთვის II–IV სართულებზე განლაგებულია სასტუმროს ნომრები სტუმრებისთვის, შენობა მთავრდება სამანქანე განყოფილებით. I სართულის სიმაღლე 3.50 მ-ია, დანარჩენი სართულების სიმაღლე კი–იატაკიდან იატაკამდე 3.20 მ-ია, შენობას მოემსახურება 2 კიბე და 1 ლიფტი, რომლებიც სამშენებლო ნორმების დაცვით შესრულდება.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმა. პროექტის მიზანია საცხოვრებელი შენობის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარების პრინციპების და შენობა-ნაგებობების უსაფრთხობის ნორმების გამოყენებით.

შენობის ძირითადი სტრქუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასულ სტრუქტურას, დიაფრაგმებით და არმირებული ბეტონის კედლებით. შენობის კომბინირებული საძირკველი რკინაბეტონის ფილაზეა დაფუძნებული, სახურავი არის ბრტყელი გადახურვა. შენობას გააჩნია ორი კიბის უჯრედი დაკავებულობიდან და გამოყენების საჭიროებიდან გამომდინარე (ერთი შიდა ძირითადი და ერთიც ლითონის გარე კიბე). შენობის კონსტრუქციის ტიპი, მისი სიმაღლისა და ფართობებიდან გამომდინარე, სახანძრო უსაფრთხოების წესების **I - B** ტიპისაა.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილება;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართი: 450 მ^2
განაშენიანების ფართი: 245.7 მ^2
შენობის საერთო ფართობი: 848.3 მ^2
მათ შორის:
სასარგებლო ფართი: 624.2 მ^2
საზაფხულო ფართი: 51.2 მ^2
სარდაფის ფართი: 172.9 მ^2

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე: 19.4 მ
მათ შორის: +0.00 ზევით 16.0 მ
+0.00 ქვევით 3.4 მ

სამშენებლო მოცულობა: 2824.0 მ^3
მათ შორის: +0.00 ზევით 2184.3 მ^3
+0.00 ქვევით 639.7 მ^3

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს

მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება შეფასება;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია სასტუმროს შენობა ერთი მიწის დონის ქვედა და ოთხი მიწის დონის ზედა სართულით. პროექტში გამოყენებულია **საქმიანი (სქ), საცხოვრებელი (სც-1), სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობები.
დაკავებულობები კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **304, 310, 311** და **312 ქვეთავებს.**

მიწის დონის ქვედა (-1) სართულზე (**-3.20** ნიშნული) განთავსებულია: სასტუმროს საწყობი, წყლის ტუმბოს სადგური, პერსონალის ოთახი, სასერვერო და სამზარეულო, საერთო ფართობით **126.6 მ^2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=10.** <u>მათ შორის</u>:

სასტუმროს საწყობი, **311.2 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **47.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2.**

წყლის ტუმბოს სადგური, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **20.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**.

სასერვერო და პერსონალის ოთახი (სანკვანძებით), **304.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **36.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=5**.

სამზარეულო, ფართობის სიმცირის გამო, **303.1.2 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **21.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**.

პირველ სართულზე (**0.00** ნიშნული) განთავსებულია: ვესტიბიული-რეცეფცია, კაფე და დამხმარე სათავსო, საერთო ფართობით **110.6 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=36.** მათ შორის:

ვესტიბიული-რეცეფცია, **304 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **70.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=8**.

კაფე, ფართობის სიმცირის გამო, **303.1.2 ქვეთავის** მიხედვით, ასევე კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **37.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=27**.

დამხმარე სათავსო, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **2.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**.

მეორე – მეოთხე სართულებზე განთავსებულია სასტუმრო ნომრები, **310.3 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებული, როგორც **საცხოვრებელი (სც-1)** ჯგუფის დაკავებულობა და დამხმარე სათავსები, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **356.2 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=32.** მათ შორის:

მეორე სართულზე (**3.50** ნიშნული) განთავსებულია:

6 სასტუმრო ნომერი, საერთო ფართობით **132.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=11**.
დამხმარე სათავსო, ფართობით **2.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**.

მესამე სართულზე (**6.70** ნიშნული) განთავსებულია:

6 სასტუმრო ნომერი, საერთო ფართობით **132.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=11**.
დამხმარე სათავსო, ფართობით **2.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**.

მეოთხე სართულზე (**9.90** ნიშნული) განთავსებულია:

4 სასტუმრო ნომერი, საერთო ფართობით **83.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=7**.
დამხმარე სათავსო, ფართობით **2.5 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**.

შემოთავაზებული დაკავებულობების **ფართობების ჯამი – 593.4 მ².**
დაკავებულობების დატვირთვის **ჯამური მაჩვენებელი – დდ=78.**

სართულზე განთავსებული თითოეული დაკავებულობის დატვირთვა გამოყვანილია, ამავე დაკავებულობების **თითოეულ სათავსოზე** გამოთვლილი დაკავებულობის დატვირთვების შეჯამებით.

დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე, მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით) აკმაყოფილებს **601 ქვეთავის 601 ცხრილის** მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით ზემოთაღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი, აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე, შეადგენს **2**-საათს და შეესაბამება **601 ცხრილში I - B** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ **2**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2**-საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმალურ ხანძარსაწინააღმდეგო **1**-საათიან ხარისხს. სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები შეესაბამება **601** და **602 ცხრილებში I - B** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I - B** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის დაშვებულია სიმაღლე **48.8 მ**, სართული – **სწ-1**, **სქ** და **სც-1** ჯგუფებისთვის – **11**, **დს** ჯგუფისთვის – **5**, ხოლო ფართობი – **სქ** და **სც-1** ჯგუფებისთვის შეუზღუდავი, **სწ-1** ჯგუფისთვის **4460 მ^2**, **დს** ჯგუფისთვის **3300 მ^2**, ხოლო პროექტით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის (საწყობი): სართული – **1**, სიმაღლე – **3.20 მ** და ფართობი – **56.1 მ²**;

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (ჰოლი-რეცეფცია, კაფე, სამზარეულო, სასერვერო, პერსონალის ოთახი): სართული – **2,** სიმაღლე – **6.70 მ** და ფართობი – **166.5 მ²**;

საცხოვრებელი (სც-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის (სასტუმრო ნომრები): სართული – **3**, სიმაღლე – **9.60 მ** და ფართობი – **349.3 მ²**;

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის (წყლის ტუმბოს სადგური, დამხმარე სათავსები): სართული – **5**, სიმაღლე – **16.3 მ** და ფართობი – **21.5 მ²**.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტი **4**-სართულიანია მიწის ზემოთ, სიმაღლით – **15.70 მ**, მიწის დონის ზემოთ ბოლო იატაკის ნიშნულით **9.90 მ,** განაშენიანების ფართობით – **245.7 მ²** და საერთო ფართობით – **848.3 მ²**.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ **503-ე ცხრილის** მოთხოვნებს.</u>

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი სასტუმროს შენობა, ერთი მიწის დონის ქვედა და ოთხი მიწის დონის ზედა სართულით, მარტივ რელიეფზეა განთავსებული. შენობაში, პირველ სართულზე,

მოწყობილია ერთი კიბის უჯრედი და ერთი მცირე ზომის (არა აუცილებელი) ლიფტი. კიბის უჯრედი აკავშირებს შენობის ყველა სართულს და გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე (13.10 ნიშნულზე), ხოლო ლიფტი ემსახურება მხოლოდ მიწის დონის ზედა სართულებს. გარდა ამისა, შენობის **„6–1“** ფასადის მხრიდან ეზოში განთავსებული გარე, ღია მრგვალი სპირალური გზა-კიბე აკავშირებს მეორე, მესამე და მეოთხე სართულებს და გამოყენებულია გასასვლელი საშუალებების შემადგენელ ნაწილად, აღნიშნული გზა-კიბე, მეორე და მესამე სართულზე, ღია გადასასვლელი ხიდით, პირდაპირ უკავშირდება შენობას და შენობაში გასასვლელის გზა-დერეფნით უერთდება შიგა გასასვლელის გზა-კიბეს, ხოლო მეოთხე სართულზე, ღია გადასასვლელი ხიდის და ტერასის გავლით – მეოთხე სართულის გასასვლელის გზა-დერეფნის მეშვეობით, ასევე უერთდება შიგა გასასვლელის გზა-კიბეს, რომელიც პირველი სართულის გზა-დერეფნის და ვესტიბიულის გავლით, **„1–6“** ფასადის მხრიდან, უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **-0.18** ნიშნულზე.

შენობის, მიწის დონის ზედა მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე, კიბის უჯრედთან მოწყობილია თავშესაფრის ფართობი, რომელიც ღიად უკავშირდება კიბის უჯრედს და მასთან ერთად შემოზღუდულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, შესაბამისად, თავშესაფრის გასასვლელი გადის პირდაპირ შიგა გასასვლელის გზა-კიბეზე, **1025.4 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად.

შენობის მთავარი გასასვლელი მოწყობილია **„1–6“** ფასადის მხრიდან. შენობიდან გასვლა შესაძლებელია პირველი სართულის დერეფნის და ვესტიბიულის მხრიდან, მიწის დონის 0.00 ნიშნულზე მოწყობილ ბაქანზე, რომელიც **4.2 %-**ანი ქანობის პანდუსით უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს, **-0.18** ნიშნულზე, შესაბამისად, მისაწვდომია (შშმ) პირებისთვის.

მიწის დონის ქვედა სართულს (**-3.20** ნიშნ.), რომელიც მდებარეობს მიწის დონიდან ერთი სართულით ქვემოთ, ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბე ემსახურება, **1021.2.2 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად.

პირველ სართულს აქვს <u>ორი გასასვლელის გზა-კარი</u>, **„1–6“** და **„6–1“** ფასადების მხრიდან, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია **13.8** მეტრით, რაც შენობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური

სიგრძის (18.7 მ) ნახევარზე მეტია და აკმაყოფილებს **1021.2 ქვეთავის** მოთხოვნას.

II, III და IV სართულები წარმოდგენილია ორი გასასვლელით: (გზა-კიბე და გზა-კარი), რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია შესაბამისად, **8.87**, **8.87** და **6.04** მეტრით, რაც შენობის საერთო მაქსიმ. დიაგონალური სიგრძის (შესაბამისად, 21.54 მ, 21.54 მ, 18.14 მ), **1/3**-ზე ნაკლები არ არის და აკმაყოფილებს **1015.2.1 ქვეთავის, გამონაკლისი 2-**ის მოთხოვნას.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი <u>ავტოსაშხეფი სისტემით</u> დაშვებულია:

სც და **სწ-1** ჯგუფებისთვის–**75** მეტრი, **სქ** ჯგუფისთვის–**90** მეტრი, **დს** ჯგუფისთვის –**120** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია:

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **11** მეტრი;
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **15.15** მეტრი;
საცხოვრებელი (სც-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **18.2** მეტრი;
დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის **14.1** მეტრი.

<u>გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

საპროექტო შენობის გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბის მინიმალური სიგანე (**90 სმ**) განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის გამონაკლისი 1-**ის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის

გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6** მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია **1.05** მეტრი სიგანის გზა-კიბე, რაც შეესაბამება მოთხოვნილს და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისათვის. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **28** სმ-ია, შეუული სიბრტყისა კი – **16** სმ. გზა-კიბეები აკმაყოფილებს **1009.7**, **1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით, ხოლო გარე გასასვლელის სპირალური გზა-კიბე აკმაყოფილებს **1009.12 ქვეთავის გამონაკლისის** მოთხოვნებს.

გზა-კიბეებში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე, აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით, გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი მოეთხოვება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნებში **1018.1 ცხრილის** მიხედვით დაყენებულია **903 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი ავტოსაშხეფი სისტემა, ხოლო დერეფნის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1 სთ) მეტი – **2** საათი. დერეფნის მინიმალური სიგანე (**90 სმ**) განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მიწის დონის ქვედა და პირველ სართულებზე **1.5** მეტრი, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე, **საცხოვრებელი (სც-1)** ჯგუფისთვის დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, დასაშვებ მინიმუმზე (**0.9 მ**) მეტი, **1.1** მეტრი სიგანის დერეფანი, რაც მეტია და შეესაბამება **1018.1 ცხრილის** მოთხოვნებს.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული

ფაქტორი **(5.1 მმ).** გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82** მეტრს, ხოლო არსებული პროექტით, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარის მინიმალური სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს **0.92** მეტრს ყველა სართულზე.

1701.5 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, ოთხსართულიან შენობას არ მოეთხოვება ლიფტის მოწყობა, მიუხედავად ამისა, საპროექტო შენობაში დაყენებულია ერთი მცირე ზომის (არა აუცილებელი) ლიფტი, რომელიც ემსახურება შენობის მიწის დონის ზედა სართულებს. ლიფტის შახტის ზომებია: 1.70 მ x 2.35 მ, ხოლო კაბინის – 1.10 მ x 1.40 მ.

შენობის მიწის დონის ქვედა სართულზე (**-3.20** ნიშნ.) კიბის უჯრედის წინ გათვალისწინებულია ტამბურ-რაბის მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბის მდობავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა **2**-საათიანია, რაც აღემატება მოთხოვნებს.

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6) მისაწვდომობის შეფასება.

1104.1 ქვეთავის თანახმად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებიდან, მისაწვდომი ავტოსადგომიდან.

მე-11 თავის მოთხოვნების შესაბამისად გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან.

საპროექტო შენობის პირველ სართულზე, ICC A117.1 ნორმების გათვალისწინებით მოწყობილი შშმ პირთა ერთადგილიანი ტუალეტი უზრუნველყოფს უნარშეზღუდულთათვის მინიმალურ მოთხოვნებს და ასევე, აკმაყოფილებს **1109.2 ქვეთავის გამონაკლისი 3**-ის მოთხოვნებს მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტებთან მიმართებაში.

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია შესასვლელი, შშმ პირთათვის, კერძოდ, **„1 – 6“** ფასადის მხრიდან, შენობის მთავარ შესასვლელთან მისადგომი **2,45** მეტრი სიგრძის და **0,95** მეტრი სიგანის, **4.2 %-**ანი ქანობის გზა-პანდუსით, რომელიც უზრუნველყოფს (შშმ) პირის სამუშაო ფართობთან მისვლის, შესვლის და გამოსვლის შესაძლებლობას (-0.18 ნიშნულიდან 0.00 ნიშნულზე), რაც აკმაყოფილებს **1103.2.3 ქვეთავის** მოთხოვნას.

პროექტში გათვალისწინებულია **მე-17 თავის** მიხედვით განსაზღვრული და მოწყობილი ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირების მისაწვდომობას მიწის დონის ზედა სართულებზე.

1107.6.1.1 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში მიწის დონის ზედა მეორე–მეოთხე სართულებზე განთავსებული **საცხოვრებელი (სც-1)** ჯგუფის დაკავებულობების **16** საძინებელი ერთეულიდან **1** მისაწვდომია წარმოდგენილი, რაც აკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნას.

<u>შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2** საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით) განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მასალიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე. სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები შეესაბამება **601 ცხრილში** მოთხოვნილ **1**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

705.8 ცხრილის შესაბამისად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის

ხარისხის მიხედვით, <u>დაუცველი საშხეფებით</u>, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>1 – 6 ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **8.30** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **60 %**.

<u>ა – ე ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **0.34** მეტრია, ღიობები **დაუშვებელია**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

<u>6 – 1 ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **19.05** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **49 %**.

<u>ე – ა ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **0.24** მეტრია, ღიობები **დაუშვებელია**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

<u>გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე, გარე კედლის ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

1505.1 ცხრილის შესაბამისად, **I - B** ტიპის კონსტრუქციის შენობა-ნაგებობებისთვის ნებადართულია **B** კლასის სახურავის ანაწყობების გამოყენება, ხოლო საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი სახურავი, 13.10 ნიშნულზე, ზედ მოწყობილი კიბის უჯრედის ამოსასვლელით. გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობები ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე. ბეტონის სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლის ზედა ბურულების გადაბმების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილების და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების

გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

შენობის პარაპეტის სიმაღლე **80 სმ**-ია, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება საყრდენი კედლის **2**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს. პარაპეტი აგებულია **705.11.1 ქვეთავის** მოთხოვნების გათვალისწინებით.

1009.16 ქვეთავის („სახურავზე ასასვლელი გზა-კიბე“) მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო შენობის ბოლო სართულიდან შიგა გზა-კიბე გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე, ზედ მოწყობილი კიბის უჯრედის ამოსასვლელით (13.10 ნიშნულზე).

<u>სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილია ოთხი შერეული დაკავებულობა: **საქმიანი (სქ), საცხოვრებელი (სც-1), სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)**, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია, როგორც **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის <u>კედლებით</u> **(ცხრილი 508.4)**, ისე **2**-საათიანი <u>თარაზული ანაწყობებით</u>, რაც აკმაყოფილებს წესების **420.3 ქვეთავის** და **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს.

მე-10 თავის 1009.3.1.2 ქვეთავის თანახმად, ოთხი ან ოთხზე მეტი სართულის დამაკავშირებელი <u>გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების</u> შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს, არანაკლებ, **2** საათი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია **2** საათი, რაც შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.

1023.3 ქვეთავის მოთხოვნით, <u>გასასვლელის გზა-დერეფნის</u> შემომზღუდავი კედლების, იატაკისა და ჭერის ცეცხლმედეგობის ხარისხი არ უნდა იყოს, **1** საათზე ნაკლები, ხოლო პროექტით წარმოდგენილია **1** საათი, რაც შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.

1018.1 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება დერეფნებს, რომლებიც მდებარეობს საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულში.

საპროექტო შენობაში მოწყობილი მცირე ტვირთამწის (სამზარეულოს ლიფტი) შახტა უზრუნველყოფილია საჰაეროებით, რომლითაც ხანძრისას კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება, რაც აკმაყოფილებს **1704.1 ქვეთავის** მოთხოვნას ლიფტის შახტის განიავების შესახებ.

საპროექტო შენობის კიბის უჯრედის, ტამბურ-რაბის, ლიფტის, სამზარეულოს ლიფტის და სავენტილაციო შახტების შემომზღუდავები **2**-საათიანი ცეცხლმედეგობისაა და შეესაბამება **707 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ასევე, შენობაში არსებული ყველა შახტა, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შემოზღუდულია **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის წესების **მე-9 თავის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

903 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

904 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

905.3.1 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო მილდგარების სისტემით. სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები მდებარეობს ყველა სართულის დერეფანში კიბის უჯრედთან, **905.4 ქვეთავის** შესაბამისად.

906.1 ქვეთავის შესაბამისად, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა სართულის დერეფანში.

907 ქვეთავის თანახმად, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

907.2.8.1 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების დაყენება მთელ შენობაში საჭირო არ არის, თუ შენობა მთლიანად აღჭურვილია **903 ქვეთავის** შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით.

907.2.11.1 ქვეთავის მიხედვით, **სც-1** ჯგუფში კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის ერთ- და მრავალბლოკიანი მოწყობილობები განთავსებულია საძინებელ ფართობებზე და გასასვლელი საშუალებების სისტემაში შემავალ გზაზე მდებარე ყველა ოთახში, საძინებელი ფართობიდან საძინებელი ერთეულისკენ მიმავალ კარამდე.

907.5.2.3.3 ქვეთავის მოთხოვნით და **907.5.2.3.3 ცხრილის** შესაბამისად, საპროექტო შენობის **სც-1** ჯგუფში საძინებელი ერთეულების საერთო რაოდენობის (**16** ერთეული) გათვალისწინებით განთავსებულია <u>ორი</u> მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობა, რომელიც აქტიურდება როგორც ოთახის კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის მოწყობილობით, ისე შენობის სახანძრო განგაშის სისტემით.

908 ქვეთავის მიხედვით, შენობა არ საჭიროებს საავარიო განგაშის სისტემებით აღჭურვას.

909 ქვეთავის შესაბამისად, შენობაში მოწყობილია კვამლის საკონტროლო სისტემები. დერეფნებში გათვალისწინებულია მექანიკური განიავების, ხოლო კიბის უჯრედებსა და ლიფტში მექანიკური განიავების და დაწნევის სისტემების მოწყობა.

912.2 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობის ტერიტორიაზე განთავსებულია სახანძრო ჰიდრანტი (წყლის ასაღები წერტი).

913.2.1 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობაში განთავსებულია სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარი.

საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

<u>ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **საქმიანი (სქ), სასაწყობო (სწ-1), დამხმარე (დს)** და **საცხოვრებელი (სც-1)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

მიწის დონის ქვედა (-1) სართულზე (**-3.20** ნიშნ.)

საქმიანი (სქ), სასაწყობო (სწ-1) და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის, დდ=10):

- 2 უნიტაზი და 1 ხელსაბანი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა;
- 1 სამზარეულოს ნიჟარა.

პირველ სართულზე (**0.00** ნიშნ.)

საქმიანი (სქ)) და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (ჰოლი-რეცეფცია, კაფე და დამხმარე სათავსო, დდ=36):

- 3 უნიტაზი და 2 ხელსაბანი;

- 1 სამომსახურეო ნიჟარა;

- 1 სასმელი წყლის შადრევანი.

მეორე სართულზე (**3.50** ნიშნ.)

საცხოვრებელი (სც-1) და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (სასტუმროს 6 ნომერი და დამხმარე სათავსო, დდ=12):

- 6 უნიტაზი და 6 ხელსაბანი;

- 6 შხაპი;

- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

მესამე სართულზე (**6.70** ნიშნ.)

საცხოვრებელი (სც-1) და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (სასტუმროს 6 ნომერი და დამხმარე სათავსო, დდ=12):

- 6 უნიტაზი და 6 ხელსაბანი;

- 6 შხაპი;

- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

მეოთხე სართულზე (**9.90** ნიშნული)

საცხოვრებელი (სც-1) და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (სასტუმროს 4 ნომერი და დამხმარე სათავსო, დდ=8):

- 4 უნიტაზი და 4 ხელსაბანი;

- 4 შხაპი;

- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით</u>.

<u>შესამუშავებელი პროექტების ჩამონათვალი:</u>

ვინაიდან, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები

განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

გ) შენობაში ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

დ) კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ე) ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ვ) შენობაში ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემის მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

თ) ელექტროდანადგარების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

გაცნობებთ, რა ზემოთ აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში

მოყვანის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა.

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ბოლო აღმართის ქუჩა №8-ში, ს/კ № 01.15.05.088.001, სასტუმროს შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე





Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
საქართველოს პირადობის მოწმობა
GEO
სახელი / FIRST NAME
ქართლოს
KARTLOS
გვარი / LAST NAME
მაისურაძე
MAISURADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
01021006049
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
26.02.1959
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
25.06.2026
ბარათის No / CARD No
15ID21055
ხელმოწერა
SIGNATURE



დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს
შალვას ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1987 წელს დაამთავრა
დასახელებული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ.
4 ივლისის გადაწყვეტილებით
ქ.შ. მაისურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
ბ. ა.
რექტორი
მდივანი
ქალაქი თბილისი 1987 წ. „28“ x
სარეგისტრაციო № 3154

Грузинский ш.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе Картлосу Шалвовичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина
и в 1987 году окончил полный курс
названного института
по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4“ июля 1987 г.
Маисурадзе К.Ш.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь
М. П.
Город Тбилиси „28“ x 1987 г.
Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	1978 – 1987 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD Adobe Photoshop Corel Draw Artlantis Studio Microsoft office
სამუშაო გამოცდილება	1984-1985 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი 1987-1992 **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი 1987-1992 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** „საკოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი

1993-1994 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი“-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი“.
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: არქიტექტორი

1994-2000 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: შპს „სმარტი“
ორგანიზაციის პროფილი: კომპიუტერული გრაფიკა
პოზიცია: არქიტექტორი

2000-2004 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: არქიტექტორი

2006-2007 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: შპს „არქიტექტონიკა“
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: დირექტორი

2007-2017 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: შპს „მოდულიონი“
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: დირექტორი

2013 წ - დან
ორგანიზაციის დასახელება: შპს „ეკლექტი“
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: დირექტორი

2017 წ - დან
საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა.
პოზიცია: ინსპექტორი